

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N

ქალაქი ბათუმი

----- 20-- წელი

ერთი მხრივ სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი ----- სახით და მეორე მხრივ ----- (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი ----- სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ----- სატენდერო წინადადების საფუძველზე, შემსყიდველის მიერ ჩატარებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადება № **NAT**-----) შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1. “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” (შემდგომში- „ხელშეკრულება“) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაცია, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;
- 1.2. “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.3. “შემსყიდველი” – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4. „მიმწოდებელი“- პირი რომელიც ახორციელებს სამუშაოს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5. „დღე“. „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
- 1.6. „სამუშაო“- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;
- 1.7. „შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა“ – მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ტენდერის ფარგლებში წარმოდგენილი „შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა“ რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის, ქ. ფოთში, წმინდა გიორგის ქ. N24-ში მდებარე (ყოფილი ჰიდრო-მელიორაციული ტექნიკური შენობა) სარეაბილიტაციო სამუშაოები, შემდგომში შენობაში სსიპ “სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის” ქ. ფოთის ფილიალის გახსნის მიზნით. (CPV: 45400000 , 45410000, 45430000) (შემდგომში - სამუშაოები და/ან ობიექტი) წინამდებარე ხელშეკრულების და მისი დანართების შესაბამისად.
- 2.2. შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება ხარჯთაღრიცხვით, რომელიც გაფორმებულია ხელშეკრულების დანართი სახით.

2.4. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით, ტექნიკური პირობით, ხარჯთაღრიცხვით, გეგმა-გრაფიკით და ნახაზებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

2.5. ხელშეკრულების დანართები თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილებს;

2.6. ყოველგვარი გაუგებრობის გამორიცხვის მიზნით, მიმწოდებელი ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია არქიტექტურული პროექტი, რომელიც ატვირთულია სისტემაში, კისრულობს ვალდებულებას სამუშაოები განახორციელოს პროექტის მიხედვით. მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს ნახაზებსა და ხარჯთაღრიცხვას შორის არსებული შეუსაბამობების შესახებ, რაც უნდა დაკორექტირდეს სპეციალისტების მოსაზრებების გათვალისწინებით.

2.7. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები განახორციელოს საკუთარი მასალით, რისკით, ძალებით, ხელსაწყოებითა და მექანიზმებით.

2.8. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს ხელშეკრულებით დადგენილი პირობების და საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ მოთხოვნებისა და მეგლთა დაცვითი საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო და გარემოსდაცვითი ნორმებისა და წესების დაცვით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს ----- ლარს.

3.2. ამ მუხლის 3.1. პუნქტში მითითებული ხელშეკრულების ღირებულება საბოლოოა და შეიცვლება მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით კანონით დადგენილ შემთხვევებში. იმ შემთხვევაში, თუ შემცირდება შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა, პროპორციულად შემცირდება ხელშეკრულების ღირებულება, მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების დადების გარეშე.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებსა და გადასახდელებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და პირობები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.

4.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს შემდეგი წესის შესაბამისად:

ა) ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულების მე-5 მუხლით განსაზღვრული წესით მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

ბ) საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით, შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.3. მიმწოდებლისათვის შუალედური აქტების და მის საფუძველზე განხორციელებული ანგარიშსწორება არ უნდა იქნას განმარტებული, როგორც გარკვეული სახის სამუშაოების საბოლოო მიღება ან/და შემსყიდველის უარი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ყველა პირობის

შესრულების მოთხოვნის უფლებაზე. შესაბამისად მოცემული ფაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს გამოსწორების ვალდებულებისაგან და ყველა დანადგარზე, მასალასა თუ შესრულებული სამუშაოებზე პასუხისმგებლობისაგან.

4.4. შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს მიმწოდებლისათვის გადასახდელი საზღაურის გადახდა ქვემოთ მოცემული რომელიმე გარემოების დადგომის შემთხვევაში (აღნიშნული პუნქტი არ ეხება 5.4. პუნქტით გათვალისწინებულ წესს):

ა) მიმწოდებელი არ ასწორებს უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოს, შემსყიდველისაგან უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს შესახებ შეტყობინების საფუძველზე.

ბ) მიმწოდებელი არ ასრულებს მნიშვნელოვან სახელშეკრულებო მოვალეობას, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელშეკრულებო ვალდებულების შეთანხმებულ ვადაში ჯეროვან შესრულებას.

4.5. 4.4. პუნქტით გათვალისწინებული გარემოების მიზეზების აღმოფხვრისა და გამოსწორებისთანავე შემსყიდველი მოვალეა განახორციელოს შეჩერებული საზღაურის გადახდა. ამასთან, გადახდის ასეთი შეფერხებისათვის მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს შემსყიდველისაგან რაიმე დამატებითი შესრულება.

4.6. თუ მიმწოდებელი არ გაასწორებს ან უარს განაცხადებს 4.4. პუნქტით განსაზღვრული გარემოების გამოსწორებაზე, მაშინ შემსყიდველს უფლება აქვს, დაუყოვნებლივ მოშალოს ხელშეკრულება ან/და თვითონ უზრუნველყოს ასეთი გარემოების გამოსწორება/აღმოფხვრა, რის შესახებაც ატყობინებს წერილობით მიმწოდებელს. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოქვითოს მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხისაგან მის მიერ გაწეული ხარჯები. ამასთან, გადახდის ასეთი შეფერხებისათვის მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს შემსყიდველისაგან რაიმე დამატებითი შესრულება.

4.7. წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობა და პირობები

4.7.1. საავანსო ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე, ასათვისებელი თანხის არაუმეტეს 30%-ის ოდენობით. ავანსად გაცემული თანხის გამოქვითვა განხორციელდება შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

4.7.2. საავანსო ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში „მიმწოდებელმა“ უნდა წარმოადგინოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან გაცემული უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია საავანსო თანხაზე, რომლის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსო ანგარიშსწორების საბანკო გარანტია არ უნდა მცირდებოდეს შესრულებული სამუშაოების ღირებულების პროპორციულად.

4.7.3. გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში - ლარში. უცხოური ბანკიდან ან/და სადაზღვევო კომპანიიდან საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში მასთან ერთად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ზემოაღნიშნული საბანკო გარანტიის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული

სადაზღვევო კომპანიიდან გაცემული „კონტრგარანტია“ (ლარში). საბანკო გარანტია და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).

4.7.4. ავანსის სახით გადახდილი თანხის გაქვითვა მოხდება შემდეგი წესით:

ა) შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან ჯერ გამოიქვითება, შესრულებული სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თანხა 10%, ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.3 პუნქტით დადგენილი წესით:

ბ) შესრულებული სამუშაოების ღირებულების 30%-ის ოდენობით შემცირდება ავანსის სახით გადახდილი თანხა და შემცირდება საბანკო გარანტია, ხოლო დარჩენილი ნაწილის ანაზღაურება განხორციელდება ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

4.7.5. თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი უფლებამოსილია წარმოადგენოს წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო გადახდა) საბანკო გარანტია საავანსო თანხის 50%-ის ოდენობით.

4.7.6. თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელთან 50%-ის ოდენობით უზრუნველყოფილი საავანსო თანხის ანგარიშსწორების შემთხვევაში თავდაპირველად განხორციელდება არაუზრუნველყოფილი საავანსო თანხის დაქვითვა სრულად, არაუზრუნველყოფილი საავანსო თანხის სრულად დაქვითვის შემდეგ წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი თანხიდან პარალელურად განხორციელდება არაუზრუნველყოფილი ავანსიდან დაქვითული თანხის პროპორციული ღირებულების დასაქვითი თანხის 10% დაკავება, ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.3 პუნქტით დადგენილი წესით, ხოლო დარჩენილი ნაწილის გამოქვითვა განხორციელდება ხელშეკრულების 4.7.4. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით.

4.7.7. იმ შემთხვევაში თუ, ხელშეკრულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შეწყდა ვადაზე ადრე და/ან მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ვერ უზრუნველყოფს მომსახურების ან სამუშაოს შესრულებას და მხარეები ვერ შეთანხმდებიან ამ ვადის გაგრძელებაზე, მიმწოდებელი ვალდებულია შესაბამისი შეტყობინების გაგზავნიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში დააბრუნოს წინასწარ ავანსის სახით გადარიცხული თანხიდან შეუსრულებელი ვალდებულების პროპორციული ღირებულების შესაბამისი თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმართოს გარანტიის გამცემ ორგანოს (გარანტს), ავანსის სახით გადარიცხული თანხის ფარგლებში მიმწოდებლის მხრიდან შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების პროპორციულად გათვალისწინებული თანხის დაბრუნებაზე, ასევე მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ პირველივე მოთხოვნის წაყენებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის განმავლობაში დააბრუნოს არაუზრუნველყოფილი საავანსო თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებლის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების მოქმედების ვადა გრძელდება ვალდებულების სრულ შესრულებამდე.

5. შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებლის მიერ წარმოებული სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველობას ახორციელებს შემსყიდველის უფლებამოსილი პირი/პირები.

5.2 შესრულებული სამუშაოების მოცულობა, რაოდენობა და ღირებულება შუალედური/საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შედგენამდე მიმწოდებლის მიმართებით და ხარჯით უნდა დადასტურდეს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს საექსპერტო დასკვნით ან სხვა აკრედიტებული პირის დასკვნით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა ხორციელდება შემსყიდველის მიერ ერთი შესყიდვის ფარგლებში გამარჯვებული პირის მიერ.

5.3 ხელშეკრულების საგნის მიღება ფორმდება (როგორც სრული, ასევე ნაწილობრივი) შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. შესრულებული სამუშაოების (როგორც სრულად, ასევე ნაწილობრივ) მიღება-ჩაბარების აქტის შედგენამდე, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი პირის მიერ დამოწმებული შესრულებული სამუშაოების მოცულობების აქტის (ფორმა N2) წარმოდგენა, რომლითაც დასტურდება შესრულებული სამუშაოების ხარისხი, მოცულობა, ღირებულება და მათი შესაბამისობა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან. საბოლოო ინფორმაციის წარმოდგენისას უკანასკნელი მიღება-ჩაბარების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემდეგ შესრულებულ სამუშაოებზე ცალკე მიღება-ჩაბარება არ დგება.

5.4. საექსპერტო მომსახურების ღირებულება ანაზღაურდება ფაქტიურად გადახდილი თანხის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, მაგრამ არაუმეტეს საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის N171 დადგენილების დანართი N1-ის 137-ე პუნქტით დადგენილი ტარიფის ზღვრული ოდენობისა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა ხორციელდება შემსყიდველის მიერ ერთი შესყიდვის ფარგლებში გამარჯვებული პირის მიერ.

5.5. თუ საექსპერტო დასკვნით ან ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი პირის მიერ შესრულებული სამუშაოები შეფასდა წუნით, მაშინ სამუშაოები არ ჩაითვლება დასრულებულად წუნდების აღმოფხვრამდე და შესაბამისად არ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა. წუნდების აღმოფხვრა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში. იმ შემთხვევაში თუ შესრულებულ სამუშაოებზე ხარვეზები გამოვლინდება საექსპერტო დასკვნის მიღების შემდეგ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე პერიოდში, მაშინ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მხოლოდ ხარვეზების სრულად აღმოფხვრის შემდეგ. თუ საექსპერტო დასკვნით შესრულებული სამუშაოების ღირებულება, მოცულობა და რაოდენობა არ შეესაბამება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, მაშინ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება დასკვნის შესაბამისად.

5.6. წუნდებული სამუშაოების აღმოფხვრა დასტურდება 5.2. და 5.3. პუნქტებით დადგენილი წესით.

5.7. შემსყიდველის მხრიდან სამუშაოების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენლებია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები.

6. სამუშაოების შესრულების ვადა და ადგილი

6.1. შემსყიდველის მიერ სამუშაოების შესრულება და შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს 9 (ცხრა) კალენდარული თვის ვადაში ხელშეკრულების დადების თარიღიდან.

6.1.1. ვადის ცვლილების (გაზრდის) საფუძველს არ წარმოადგენს თოვლი, წვიმა და სხვა მსგავსი მეტეოროლოგიური მოვლენები (მოწოდების ვადა განისაზღვრა მსგავსი გარემოებების გათვალისწინებით).

6.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაოების შესრულება გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

6.2.1. სამუშაოების შესრულების დროდ ითვლება ხელშეკრულებით დადგენილი წესით დადასტურებული ინფორმაციის (ფორმა 2) შემსყიდველისთვის წარმოდგენის დღე.

6.4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. ფოთში, წმინდა გიორგის ქ. N24-ში

6.5. იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე ხელშეკრულების 6.1. მუხლით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადა წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით პირობას, ნებისმიერი მიზეზით შესრულების ვადის გადაცილების, შეთანხმებულ გრაფიკზე ჩამორჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი მოვალეა მიიღოს ყველა მართლზომიერი ზომა, ვადის დარღვევის აღმოფხვრისათვის, მათ შორის და არა მხოლოდ, უზრუნველყოს სამუშაო პროცესი დამატებითი სამუშაო ძალებითა და ტექნიკით.

6.6. იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე ხელშეკრულების 6.1. და 6.2. მუხლებით გათვალისწინებული პირობები წარმოადგენენ ხელშეკრულების არსებითი პირობებს, შემსყიდველს გააჩნია შესრულების ვადის დაცვისადმი განსაკუთრებული ინტერესი, მიმწოდებლის მიერ შესრულების გრაფიკის ნებისმიერი მიზეზით დარღვევის და შემდგომში ჩამორჩენის აღმოფხვრელობის შემთხვევაში, საბოლოო შესრულების ვადის დარღვევის თავიდან ასაცილებლად შემსყიდველს უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ მოშალოს ხელშეკრულება და დარჩენილი სამუშაოების მთლიანად ან ნაწილობრივ შესასრულებლად განახორციელოს ახალი შესყიდვა.

6.7. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს სრული ინფორმაცია სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ და დაიცვას ხელშეკრულებით დადგენილი ანგარიშგების მოთხოვნები.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1. პირადად ან ტექნიკური ზედამხედველის მეშვეობით შეამოწმოს სამუშაოების მიმდინარეობის შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან, მათ შორის ნებისმიერ დროს შეამოწმოს შესრულებული სამუშაოს ხარისხი, ასევე შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობების ხარისხი.

7.1.2. კონტროლის მიზნით, ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლის ან/და მისი ქვეკონტრაქტორის მიერ სამუშაოს წარმოებისას სამუშაო ადგილზე დაშვება;

7.1.3. უარი უთხრას მიმწოდებელს ყველა იმ მოწყობილობის, მასალისა და სამუშაოს გამოყენებაზე, რომელიც არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების მოთხოვნებს;

7.1.4. გამოუქვითოს მიმწოდებელს ნებისმიერი თანხა, რომლის მოთხოვნის უფლება წარმოეშვება წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე და მიმწოდებელი არ გადაიხდის აღნიშნულ თანხას.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

7.2.2. უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოების მიღება ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების გათვალისწინებით;

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების გათვალისწინებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

7.4.2. შეასრულოს სამუშაოები და ხელშეკრულების პირობები სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, ხელშეკრულების 6.1. და 6.2. მუხლით გათვალისწინებულ ვადაში;

7.4.3. გაითვალისწინოს შემსყიდველისა და ტექნიკური ზედამხედველის მიერ მითითებული ინსტრუქციები და შენიშვნები.

7.4.4. საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი, ასევე სამუშაოების წარმოების დროს არსებულ შენობაზე მიყენებული დაზიანებები.

7.4.5. სამუშაოთა დასრულების შემდეგ საკუთარი ხარჯით გაიტანოს ობიექტიდან მანქანები, მექანიზმები და საამშენებლო მოწყობილობა დანადგარები.

7.4.6. საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ობიექტის დასუფთავება, ყველა ნარჩენის (ნაგავის) მოგროვება და გატანა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებზე, შესაბამისი დოკუმენტების გაფორმებით, როგორც სამუშაოების წარმოების, ასევე მათი დასრულების დროს.

7.4.7. გამოიყენოს სამუშაოების შესასრულებლად ხარისხიანი და უსაფრთხო მასალა, დეტალები და მოწყობილობები, იყოს პასუხისმგებელი მათ მიღებაზე, შენახვასა და გამოყენებაზე. წარუდგინოს შემსყიდველს ან/და ტექნიკურადმხედველს შესაბამისი ინფორმაცია მასალების შესახებ.

7.4.8. სამუშაოების წარმოების პროცესში ზედმიწევნით დაიცვას მოქმედი წესები და ნორმები, კანონები, დებულებები, ნორმატიული აქტები, ბრძანებები, სათანადოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ინსტრუქციები და ბრძანებები, უსაფრთხოების ტექნიკის, პროფესიონალური უსაფრთხოების წესები, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის წესების ჩათვლით, რომლებიც მოქმედებენ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის ან შეიძლება იქნან მიღებული უფლებამოსილი ორგანოების მიერ ხელშეკრულების მოქმედების დროს. მიმწოდებელი პასუხს აგებს საკუთარი ქვეკონტრაქტორების მიერ შემოთავაზებული მოთხოვნების დაცვაზე.

7.4.9. უზრუნველყოს სამუშაოების წარმოება კვალიფიციური, სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალით.

7.4.10. მიმწოდებლის პასუხისმგებლობაში შედის - მისი დასაქმებულების/პერსონალის სამედიცინო დაზღვევა. ასევე მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების წესების, უსაფრთხოების ტექნიკის სწავლება და დაცვა. შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟით. შესაბამისად, მიმწოდებელი პასუხისმგებელია დასაქმებულის/პერსონალის ჯანმრთელობასა და შრომის უსაფრთხოების დაცვაზე. უზრუნველყოს სამუშაოების შესასრულებლად ყველა საჭირო ინსტრუმენტი და მოწყობილობა, პირადი უსაფრთხოების დაცვის საშუალებების ჩათვლით. აღნიშნული გარემოების შესაბამისად, მიმწოდებელი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების ტერიტორიაზე გამოყოს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

7.4.11. საკუთარი ძალებითა და ხარჯით უზრუნველყოს სამშენებლო ობიექტის, ამ ობიექტზე განთავსებული მის საკუთრებაში არსებული ქონების დაცვა.

7.4.12. მიმწოდებელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სამუშაოების წარმოების პროცესში, პასუხისმგებელია დანაკლისთან, შემსყიდველის ქონების დაზიანებასთან დაკავშირებულ

ყველა რისკზე; იგი პასუხისმგებელია აგრეთვე მისი და/ან შემსყიდველის დასაქმებული პირის/პერსონალის ჯანმრთელობის დაზიანებისა ან გარდაცვალებაზე, რომელიც გამოწვეული იქნება ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში დამდგარი შემთხვევების შედეგად.

7.4.13. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს წერილობითი სახით და აღნიშნული ცვლილებების საკითხი შეათანხმოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი და გარანტიები

8.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული პირთა ჯგუფი.

8.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების მიმდინარეობის კონტროლს.

8.3. გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადები:

8.1. ობიექტის კონსტრუქციული ნაწილზე და ელ. გაყვანილობაზე საგარანტიო ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10 წელს, გათბობა, კონდიციონერების, ვენტილაციის, წყალმომარაგების, წყალსარინები-კანალიზაციის, ინტერნეტ ქსელის, სახანძრო უსაფრთხოების სისტემების სამუშაოებზე საგარანტიო ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 5 წელს, ხოლო ყველა სხვა სახის სამუშაოებზე - არანაკლებ 3 წელს.

8.2. საგარანტიო ვადის დენა იწყება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შეწყვეტის მომენტიდან.

8.3. მიმწოდებელი პასუხს აგებს საგარანტიო ვადის ფარგლებში ობიექტის შეუფერებებელ ფუნქციონირებაზე. თუ საგარანტიო ვადის განმავლობაში აღმოჩნდება ნაკლი, მიმწოდებელი ვალდებულებას ღებულობს საკუთარი ხარჯით აღმოფხვრას ნებისმიერი ნაკლი შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში.

8.4. მიმწოდებელი თავისი ხარჯითა და რისკით იძლევა გარანტიას:

– გამოყენებული მასალების, კონსტრუქციების, მოწყობილობების და სისტემების სათანადო ხარისხზე. მათ შესაბამისობაზე საპროექტო სპეციფიკაციებთან, სახელმწიფო სტანდარტებთან და ტექნიკურ პირობებთან, მათ უზრუნველყოფაზე შესაბამისი სერტიფიკატებით, ტექნიკური პასპორტებით და სხვა ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტებით.

– სამუშაოს ხარისხზე, მის შესაბამისობაზე საპროექტო დოკუმენტაციებთან, არსებულ ნორმებთან და ტექნიკურ პირობებთან;

– შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადებში ნებისმიერ ნაკლის აღმოფხვრაზე.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. მიმწოდებელს 6.1. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0,02%-ის (ნული მთელი ორი მესხედი) ოდენობით.

9.2. მიმწოდებელს 6.2. პუნქტით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესაბამისი ეტაპისათვის გათვალისწინებული დაუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0,02%-ის (ნული მთელი ორი მესხედი) პროცენტის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ერთი ეტაპის ვადის დარღვევა გრძელდება მეორე ეტაპზეც, მაშინ პირგასამტეხლო პირველი ეტაპის დარღვევისათვის გამოიანგარიშება მეორე ეტაპის დაწყებამდე. ყოველი შემდგომი ეტაპის პირგასამტეხლო მოიცავს წინა ეტაპის/ეტაპების შეუსრულებელი სამუშაოების დარიცხულ პირგასატეხლოსაც შესაბამისი ეტაპის ვადის გათვალისწინებით.

9.3. ხელშეკრულების მე-2 თავით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილების გამო მიმწოდებელთან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში სრულად ამოქმედდება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

9.4. პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება 5.5. პუნქტებით გათვალისწინებული ხარვეზის გამოსასწორებლად მიცემული ვადა, 5.4. პუნქტით გათვალისწინებული საექსპერტო დასკვნის გასაცემად ექსპერტის მიერ გახარჯული დრო (მიმწოდებელს მიერ შემსყიდველისათვის ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელები პირის მიერ დადასტურებული შესრულებული სამუშაოების საბოლოო ინფორმაციის წარდგენის მომენტიდან) და შემსყიდველის მიერ გახარჯული სამუშაოების მიღების ვადა.

9.5. მიმწოდებელი ვალდებულია დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა პირგასამტეხლოს დარიცხვის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში ჩარიცხოს შეტყობინებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე და წარუდგინოს შემსყიდველს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი. შეტყობინება მიმწოდებელს გაეგზავნება საბოლოო ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის/შედგენის შემდეგ, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შეწყვეტის შესახებ შეტყობინების შემდეგ, პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში შემსყიდველის მიერ სარჩელი წარდგენილი იქნება სასამართლოში.

9.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.7. შემსყიდველს უფლება აქვს პირგასამტეხლოს თანხა დაუკავოს/გამოუქვითოს მიმწოდებელს, ხელშეკრულებით კუთვნილი გადასახდელი თანხისაგან, თუ მიმწოდებელი უარს იტყვის მის გადახდაზე.

10. საგარანტო პერიოდში ნაკისრი ვალდებულების შესრულების და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია

10.1. საგარანტო პერიოდში ნაკისრი ვალდებულების და ხელშეკრულების უზრუნველყოფისათვის გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკის ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის

სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული უპირობო გარანტიები/კონტრგარანტიები.

10.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებულია -----

10.3. სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან ყოველი შულაედური მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დროს დაკავებული იქნება 10%. დაკავებული 10%-დან 5%-ის გადახდა განხორციელდება სამუშაოს სრულად დასრულებისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო დარჩენილი 5%-ის გადახდა მოხდება შესაბამის თანხაზე (დაკავებულ თანხაზე) უპირობო, გამოუთხოვადი საგარანტიო პერიოდში ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდგომ. აღნიშნული გარანტია წარმოდგენილ უნდა იქნას საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ, საფინანსო წლის დასრულებამდე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საფინანსო წლის დასრულებამდე დარჩენილია 10 (ათი) სამუშაო დღეზე ნაკლები, ზემოაღნიშნული გარანტია წარმოდგენილ უნდა იქნას საფინანსო წლის დასრულებამდე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 1 წლით უნდა აღემატებოდეს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების ვადას.

10.4. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

11.2. ხელშეკრულება მოქმედებს 2021 წლის 01 თებერვლის ჩათვლით.

11.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის უფლება ძალაში რჩება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგაც.

11.4. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.5. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.6. ხარჯთაღრიცხვის ცვლილება შესაძლებელია:

ა) შესრულებული/შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების დაზუსტების გამო;

ბ) ახალი სამუშაოების დამატების გამო, რომელთა შესრულება აუცილებელია ან/და მიზანშეწონილია შენობის უკეთესი ექსპლოატაციის ან/და უკეთესი ხარისხის მისაღებად;

გ) გათვალისწინებული სამუშაოს ამოღების გამო, რომლის განხორციელებაც აღარაა საჭირო ან/და მიზანშეწონილი.

11.6. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან/და არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რომელიმე ვალდებულებას, ან/და არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1. პუნქტით გათვალისწინებულ ვადას ან/და 6.2. პუნქტით გათვალისწინებულ გეგმა-გრაფიკს;

ბ) თუ მიმწოდებელმა სამუშაოები შეაჩერა 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით და ასეთი შეჩერება არ გამომდინარეობდა დაუძლეველი ძალის გარემოებიდან და არ იყო შეთანხმებული შემსყიდველთან;

გ) თუ მიმწოდებელი არ ახდენს ნაკლისა და ხარვეზების აღმოფხვრას შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში;

დ) თუ მიმწოდებელი არღვევს ხელშეკრულებაში მითითებულ სამუშაოთა წარმოების წესებს, ინსტრუქციებს და დებულებებს

ე) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ეს უკანასკნელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ვ) თუ არსებობს კონკრეტული საფრთხე იმისა, რომ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, კერძოდ, თუკი გამოვლინდა, რომ ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში მიმწოდებელს არ აქვს დაწყებული ვალდებულების შესრულების პროცესი, მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გადახდისუუნარობის პროცესი, მიმწოდებლის ან/და მისი ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირის მიმართ წინასწარი გამოძიების დაწყება. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად, საკუთარი შეხედულებისამებრ, წინასწარი წერილობითი შეტყობინების გარეშე, ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.7. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11.8. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ასანაზღაურებელი თანხიდან გამოიქვითება პირგასამტეხლო, ხოლო დარჩენილი თანხის ანაზღაურდება. ხელშეკრულების შეწყვეტამდე მიმწოდებელს მიეცემა გონივრული ვადა წარმოადგინოს დასკვნა შესრულებულ სამუშაოებზე, რომლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში მას აღარ აუნაზღაურდება შესრულებული სამუშაოების ღირებულება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა ხორციელდება შემსყიდველის მიერ ერთი შესყიდვის ფარგლებში გამარჯვებული პირის მიერ.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები,

თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14. ინსპექტირება და გამოცდა

14.1. შემსყიდველს უფლება აქვს უშუალოდ და/ან მესამე პირის (ტექნიკური ზედამხედველი და ა.შ.) მეშვეობით ნებისმიერ დროს განახორციელოს მოწყობილობების, მასალების სამუშაოების ინსპექტირება წინამდებარე ხელშეკრულებისა და ტექნიკური პირობის შესაბამისად.

მუხლი 15 უსაფრთხოების ტექნიკის პირობები

15.1. მიმწოდებელი მთელი სამუშაო პერიოდის მანძილზე პასუხისმგებელია ობიექტზე უსაფრთხოების ტექნიკის ყველა წესების დაცვაზე.

15.2. მიმწოდებელი ვალდებულია პერსონალს ჩაუტაროს პირველადი ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში.

15.3. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს პერსონალი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, ისეთებით, როგორცაა ჩაჩქანი, დამცველი სათვალეები, ხელთათმანები, წაღები, სპეც. ტანსაცმელი და უზრუნველყოს სამუშაო პერიოდში მათი სწორად გამოყენება.

15.4. მიმწოდებელი პასუხისმგებელია ობიექტზე პერსონალის მიერ შრომის დაცვის და უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქციების დაცვაზე.

მუხლი 16. ქვეკონტრაქტორები

16.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ქვეკონტრაქტორის აყვანის შესახებ.

16.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს ასევე აცნობოს თუ რა მოცულობის სამუშაოები გადაეცემა ქვეკონტრაქტორს. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული ქვეკონტრაქტორისათვის გადასაცემი სამუშაოების საერთო ღირებულება (ერთი ან რამდენიმე ხელშეკრულების ფარგლებში) აღემატება წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების 30%-ს, მაშინ ქვეკონტრაქტორი უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.2 პუნქტით პრეტენენტისათვის წაყენებულ გამოცდილების მოთხოვნებს, იმ პროპორციულობით რა პროცენტის (30%-ზე მეტი) სამუშაოებიც გადაეცემა

ქვეკონტრაქტორს ხელშეკრულების ღირებულებიდან. აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.2. პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.

16.3. ქვეკონტრაქტორი არ უნდა იყოს რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში – „შავი სია“.

16.4. სამუშაოების ქვეკონტრაქტორზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიდან.

17. სხვა პირობები

17.1. ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს პროექტი, ხარჯთაღრიცხვა და სხვა დანართები.

17.2. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები განახორციელოს ხელშეკრულების პირობათა შესაბამისად, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობით ასეთი სამუშაოებისათვის დადგენილი ნორმებისა და სტანდარტების სრული დაცვით.

17.3. შემსყიდველი უფლებამოსილია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით მიმწოდებელთან შეთანხმებით შეიტანოს ცვლილებები პროექტში (ხარჯთაღრიცხვაში) ჩამოთვლილ სამუშაოთა აღწერილობაში. ამ შემთხვევაში, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით შედგება დამატებითი სამუშაოების წარმოების ვადა, განიხილება ამ სამუშაოების საფასური და მხარეთა შორის გაფორმდება დამატებითი შეთანხმება.

17.4. შემსყიდველი იტოვებს უფლებას გაზარდოს ან შეამციროს შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა. ასეთი ცვლილებების თაობაზე მხარეები შეთანხმდებიან დამატებით.

17.5. მიმწოდებელი ვალდებულია აანაზღაუროს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მის მიერ მოხმარებული კომუნალური მომსახურების საფასური; მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს და ორგანიზება გაუკეთოს მშენებლობაზე ელექტრო ენერჯის და წყლის მიწოდებას და შეძენას და სხვა მომსახურებას.

17.6. სახელშეკრულებო ობიექტზე მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს დღიური შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცემებს, მექანიზმების ჩამონათვალს, რომელიც მონაწილეობდა სამუშაოს შესრულებაში, ხარისხის დაცვის პროცედურებს და სხვა.

17.7. ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი ჟურნალში აღნიშნავს თავის შენიშვნებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დაკვირვებებს და რეკომენდაციებს სამუშაოს წარმოების შესახებ.

17.8. ჟურნალში ჩაიწერება დეფექტების შესწორების, დავალებების და გაფრთხილებების ვადები და ინფორმაცია მათი აღმოფხვრის შესახებ.

17.9. მიმწოდებელი ვალდებულია დადგენილი წესით აწარმოოს ფარული სამუშაოების აქტები და წარუდგინოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაციასთან ერთად. აქტების წარუდგენლობის ან ნაწილობრივ წარდგენის გამო ექსპერტიზის დასკვნით გარკვეული სამუშაოების არ ჩათვლის/არ მიღების გამო მიმწოდებელს პრეტენზია შემსყიდველთან ვერ ექნება.

17.10. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები სრულდება მიმწოდებლის მასალით, რომელიც იქნება ახალი (არა მეორადი), მაღალი ხარისხის და დააკმაყოფილებს თანამედროვე ტექნოლოგიების მოთხოვნებს.

17.11. შემსყიდველი ვალდებულია სამუშაოების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის გავლენა.

17.12. პროექტის ხელმძღვანელი, რომელიც განსაზღვრულია სატენდერო წინადადებაში, უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკისა და ხარისხის მოთხოვნების შესრულებას;

17.13. იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველთან შეთანხმებული სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკი დარღვეულია უწყვეტად, ორი კვირის მანძილზე, ან შემსყიდველის მოთხოვნის მიუხედავად, პროექტის ხელმძღვანელი არ ცხადდება სამშენებლო მოდენაზე უწყვეტად 3 კალენდარული დღის მანძილზე, შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს პროექტის ხელმძღვანელის შეცვლა, რაც უნდა განხორციელდეს 3 სამუშაო დღეში;

17.14. მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის 17.13. პუნქტის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლობა, ასევე, ვითარება, როდესაც პროექტის ხელმძღვანელი უკვე შეიცვალა ორჯერ, წარმოადგენს ხელშეკრულების პირობათა არსებით დარღვევას, რომლის საფუძველზე შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება;

17.15. მხარეები პერიოდულად განიხილავენ სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკის შესრულების საკითხებს და დასაბუთებული მიზეზის შემთხვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

17.16. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულების დროს გამოიყენოს მხოლოდ ის მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში აღიარებულ სტანდარტებსა და ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ ჩაიბაროს ჩატარებული სამუშაოები;

17.17. მიმწოდებელი ვალდებულია აღადგინოს სამუშაოების წარმოების პროცესში მისი მიზეზით დაზიანებული ინფრასტრუქტურა;

17.18. სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის ეტაპზე, შემსყიდველის ან შემსყიდველის უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს ან უფლებამოსილ პირს მიაწოდოს სრული ინფორმაცია მწარმოებლიდან ან მიმწოდებლიდან სამუშაოებში გამოსაყენებელი და სამშენებლო მოედანზე მისატანი მასალების ფასებზე და ტექნიკურ მახასიათებლებზე.

17.19. მასალებისთვის, რომლისთვისაც ასეთი პრაქტიკა მიღებულია, შემსყიდველს ან უფლებამოსილ პირს შეუძლია მიიღოს მწარმოებლის ქარხნის ან ლაბორატორიის სერთიფიკატი.

17.20. შემსყიდველს ან უფლებამოს პირს შეუძლია მიიღოს სერთიფიკატი მისთვის მისაღები კომერციული საცდელი ლაბორატორიიდან, რომელშიც დამოწმებული იქნება, რომ პროდუქცია გამოცდილ იქნა შემსყიდველის ან უფლებამოსილი პირისათვის დამაკლამყოფილებელი დროის პერიოდის განმავლობაში და ის შეესაბამება წინამდებარე პროექტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

17.21. ნებისმიერი დამატებითი ლაბორატორიული, საველე თუ საამქრო გამოცდის ხარჯები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს ნიმუშების საპროექტო დოკუმენტაციებთან შეუსაბამობის გამო, უნდა აანაზღაუროს მიმწოდებელმა.

17.22. საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დროებითი ოფისებისა და საწყობების მშენებლობაზე და შენახვაზე (დაცვა, მოვლა პატრონობა და სხვა) .

17.23. საღებავები და სხვა მასალები უნდა ინახებოდეს სამშენებლო მოედანზე, გადახურვის ქვეშ, ააღებადი მასალების შენახვის ინსტრუქციის შესაბამისად. ცალკე უნდა ინახებოდეს გამწმენდი გამხსნელები, რომლებიც გამოიყენება ფუნჯებისათვის ან სხვა სახის წმენდისათვის. ისინი არ უნდა ინახებოდეს იქ, სადაც ინახება საღებავები, საღებავის განმზავებელი ან სადაც ხდება საღებავების წასმისადმი მომზადება.

17.24. საჭიროების შემთხვევაში ან/და შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მიმწოდებელი ვალდებულია ობიექტზე სამუშაოები აწარმოოს 24 საათიან რეჟიმში.

17.25. მიმწოდებელმა სამშენებლო ობიექტზე თვალსაჩინო ადგილას უნდა განათავსოს მინიმუმ 2 ცალი საინფორმაციო დაფა (ზომით არანაკლებ 3 მ X 2 მ), შემსყიდველის მიერ გადაცემული ესკიზის შესაბამისად.

17.26. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17.27. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს სრულად გადასცეს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.28. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.29. მხარეებს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი შეტოვინება შეიძლება გაეგზავნოთ მათ ელექტრონულ მისამართზე, რომელიც დაფიქსირებულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ან/და სამეწარმეო რეესტრში. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნიდან მეორე სამუშაო დღეს.

17.30. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა და ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მიმწოდებელი: